თვითშეფასების ინსტრუმენტი ახალგაზრდული პოლიტიკისთვის

Youth – Jeunesse

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

The opinions expressed in this work are the responsibility of the authors and do not necessarily reflect the official policy of the Council of Europe.

All requests concerning the reproduction or translation of all or part of this document should be addressed to the Directorate of Communication (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int). All other correspondence concerning this document should be addressed to the Directorate General of Democracy – Youth Department (youth@coe.int).

Cover and layout: Documents and Publications Production Department (SPDP), Council of Europe

Photos: © Council of Europe

This publication has not been copy-edited by the SPDP Editorial Unit to correct typographical and grammatical errors.

© Council of Europe, September 2019
Printed at the Council of Europe

შესავალი

ევროპის საბჭოში ახალგაზრდულ საკითხებზე მთავრობათაშორისი თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერა და ხელშეწყობა.

ეს სფერო ახალგაზრდობის ევროპული კომიტეტის (CDEJ) კომპეტენციაში შედის. კომიტეტი შედგება ევროპის კულტურული კონვენციის წევრი ორმოცდაათი ქვეყნის ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელი სამინისტროების ან სამსახურების წარმომადგენლებისაგან.

კომიტეტი აღრმავებს მთავრობებს შორის თანამშრომლობას ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით და ქმნის ჩარჩოს სხვადასხვა ქვეყნის შიდა ახალგაზრდული პოლიტიკის შედარებისთვის, კარგი გამოცდილების გაზიარებისა და საერთო სტრანდარტების დამამკვიდრებელი დოკუმენტების შემუშავებისთვის.

ამ კონტექსტში კომიტეტმა ოფიციალურად მიიღო თვითშეფასების წინამდებარე დოკუმენტი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისთვის და მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, გაავრცელონ ის.

თვითშეფასების ინსტრუმენტის წინაისტორია

ვინაიდან არ არსებობდა ევროსაბჭოს ახალგაზრდული სექტორის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმები, წევრი ქვეყნების მთავრობებისგან კი ამის მოთხოვნა სულ უფრო იზრდებოდა, კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია, შეემუშავებინა გარკვეული დროის განმავლობაში მიღწეული პროგრესის „გაზომვის“ კრიტერიუმები და მეთოდები.

ამრიგად, კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა თვისობრივი ნიშნულების ნაკრების შემუშავება ახალგაზრული პოლიტიკის სფეროსთვის, რომელიც, სხვა დოკუმენტებთან ერთად, დაეფუძნებოდა მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციებს (ან, საჭიროების შემთხვევაში, ევროპის საბჭოს სხვა ორგანოების მიერ მიღებულ ტექსტებს).

ამ ნიშნულებთან ერთად შეიქმნა თვითშეფასების ინსტრუმენტი სტანდარტული ინდიკატორებით, იმგვარად, რომ ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანოები გამოავლენენ გარკვეული დროის განმავლობაში მიღწეულ პროგრესს თავიანთი ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებში და შეძლებენ, შეიტანონ მასში ნებისმიერი საჭირო შესწორება თუ ცვლილება.

ეს ინსტრუმენტი შემუშავდა იმ მიზნით, რომ დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს, თავად შეაფასონ საკუთარი ქვეყნის შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებში და გამოიყენონ ის, როგორც საფუძველი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისთვის.

ახალგაზრდული პოლიტიკის საკვანძო პრინციპები ევროპის საბჭოს თანახმად

წლების განმავლობაში ევროპის საბჭომ ჩამოაყალიბა არაერთი პრინციპი, მიზანი და ღირებულება, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდული პოლიტიკა.

ევროსაბჭოს თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკა ახალგაზრდულ საკითხებში უნდა იზიარებდეს შემდეგ პრინციპებს [1]:

a. მიზნობრივი, თანმიმდევრული და ორმხრივად ნაყოფიერი ინვესტირება ახალგაზრდებში, შესაძლებლობაზე ფოკუსირებული მიდგომის გამოყენება პრობლემაზე ორიენტირებულის ნაცვლად და, სადაც საჭიროა, ახალგაზრდული პოლიტიკის სტანდარტებისა და ინსტრუმენტების შემუშავება, სხვა ქმედებებთან ერთად;

b. ახალგაზრდების ჩართვა მათთან დაკავშირებული პოლიტიკის სტრატეგიულ ფორმულირებაში და ამ პოლიტიკის განხორციელების ოპერატიული ეფექტიანობის შესახებ მათივე შეხედულებებისა და მოსაზრებების ასახვა პოლიტიკაში;

c. სწავლისა და გამოცდილების მიღების ისეთი შესაძლებლობებისა და პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს, განავითარონ ცოდნა, უნარები და კომპეტენციები და სრულად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები შრომის ბაზარზეც და სამოქალაქო საზოგადოებაშიც;

d. შეიქმნას მონაცემთა შეგროვების ძლიერი სისტემები ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანობის წარმოსაჩენად და იმ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსავლენად, რომლებიც არსებობს ახალგაზრდების მომსახურების თვალსაზრისით ზოგიერთ სოციალურ ჯგუფში, გეოგრაფიულ არეალსა თუ გარკვეულ პირობებში;

e. დეკლარირებული მზადყოფნა ახალგაზრდულ პოლიტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ზოგადი პრინციპები აღწერს, როგორი უნდა იყოს გაცხადებული პოლიტიკა ახალგაზრდულ საკითხებში. ევროსაბჭო ასევე მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მონიტორინგი გაუწიონ საკუთარი პოლიტიკის შედეგებსა და ეფექტიანობას და მზად იყვნენ თავიანთ შიდა პოლიტიკაში საჭირო ჩასწორებებისთვის (ან მის მთლიანად შესაცვლელად), თუ ეს პოლიტიკა ნაწილობრივ ან სრულიად არაქმედითი აღმოჩნდება.

თვითშეფასების წინამდებარე ინსტრუმენტი პირდაპირ არაა მორგებული ახალგაზრდული პოლიტიკის ზემოთაღწერილ საკვანძო პრინციპებზე. თითოეულმა მხარემ, რომელიც მოისურვებს შეაფასოს, რამდენად პასუხობს ამ პრინციპებს თავის კონტექსტში (ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ თუ ევროპულ დონეზე), სასურველია, გამოიყენოს ევროპის ახალგაზრდული ფორუმის (YFJ) მიერ შემუშავებული ინსტრუმენტების ნაკრები თვისობრივი სტანდარტების შესახებ, რომელშიც შედის ზემოთჩამოთვლილი პრინციპების უმრავლესობა [2].

თვითშეფასების წინამდებარე ინსტრუმენტს სხვა ხასიათი აქვს: ის ამოწმებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხს.

---

1. წყარო: „ევროპის საბჭო და ახალგაზრდული პოლიტიკა: წევრ ქვეყნებში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერა, დახმარება და რესურსები“ (2016). ეს პრინციპები ფორმულირებულია ახალგაზრდულ საკითხებზე ევროპის საბჭოს სხვადასხვა საკვანძო ტექსტებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, მათ შორისაა: ახალგაზრდობის ევროპული კომიტეტის (CDEJ) კომპეტენციები, ევროპის საბჭოს საკონსულტაციო საბჭო ახალგაზრდულ საკითხებზე (CCJ), ახალგაზრდული პოლიტიკის კომპენდიუმი (2012) და ახალგაზრდული პოლიტიკის ინდიკატორების სამუშაო ჯგუფის დასკვნითი ანგარიში (2003).
2. http://youthforum.org/8-standards.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის მთავარი სტრანდარტები

ახალგაზრდობის ევროპული კომიტეტის თანახმად, ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანი და აქცენტები ორგანიზაციის მთავარი ღირებულებების (ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა) მხარდაჭერას უნდა ეფუძნებოდეს.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის ექვსი მთავარი სამოქმედო სფერო (იხილეთ ცხრილი) ეფუძნება ახალგაზრდულ საკითხებზე ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ სტანდარტებს (ძირითადად მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს). ევროპის საბჭოს კონტექსტში ახალგაზრდული პოლიტიკის ნებისმიერი სამომავლო განვითარება ამ ექვს მიმართულებას უნდა ეყრდნობოდეს.



როგორ უნდა გამოიყენოთ თვითშეფასების წინამდებარე ინსტრუმენტი თქვენი ახალგაზრდული პოლიტიკის შესაფასებლად.

წინამდებარე ინსტრუმენტის მიზანია, დაეხმაროს წევრ ქვეყნებს, ისევე, როგორც სხვა რელევანტულ საჯარო სტრუქტურებს სხვადასხვა დონეზე (ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ თუ საერთაშორისო), შეაფასონ ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობა იმ ექვსი ძირითადი სფეროს მიხედვით (მონაწილეობა, ინფორმაცია, ინკლუზია, უფლებებზე წვდომა, ახალგაზრდული შრომა და მობილობა), რომლებიც ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ჩართულობისა და განვითარების პოლიტიკის საძირკველს ქმნის.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები იზიარებდნენ ევროპულ ფასეულობებს და, კონკრეტულად, ევროპის საბჭოს მთავარ ღირებულებებს (ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას). ევროპის საბჭო ყოველთვის მხარს უჭერდა ისეთი ახალგაზრდული პოლიტიკის დამკვიდრებას, რომელიც საერთო ევროპულ ღირებულებებსა და ევროპასთან მიკუთვნების შეგრძნებას, ევროპელობის განცდას ეფუძნება. ეს ევროპული განზომილება ევროსაბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის მოქმედების ექვსივე მიმართულებაში საჭიროებს მხარდაჭერას.

ინსტრუმენტი თითოეული ამ სფეროსათვის აყალიბებს კონკრეტულ, გაზომვად ინდიკატორებს, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, გაზომონ ევროსაბჭოს სტანდარტების განხორციელების თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი (ძირითადად, მინისტრთა კომიტეტის შესაბამისი რეკომენდაციების შესრულების ხარისხი).

თვითშეფასების კრიტერიუმების გამოყენება შესაძლებელია თითოეულ ინდიკატორთან მიმართებაში მიღწეული პროგრესის გასაზომადაც.

ევროსაბჭოს სხვა ინსტრუმენტების მსგავსად, იმედია, ეს ინსტრუმენტიც დაეხმარება წევრ ქვეყნებს:

- აამაღლონ ცნობიერება ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ;
- შექმნან საფუძველი მიმდინარე მდგომარეობის თვითშეფასებისთვის;
- გამოავლინონ შემდგომი მიზნების მისაღწევად საჭირო ზომები და ქმედებები;
- წარმოაჩინონ და გაიზიარონ წარმატებული პრაქტიკა;
- დროში გაზომონ მიღწეული სამუშაო პროგრესი.

საბჭო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, დინამიურად გამოიყენონ ეს ინსტრუმენტი და, საჭიროებისამებრ, რეგულარულად შეაფასონ საკუთარი შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან. ამგვარად ინსტრუმენტი მომხმარებელს მისცემს საშუალებას, გამოიკვეთოს დადებითი ტენდენციები, რომლებიც უზრუნველყოფს შემდგომ წინსვლას და გამოვლინდეს ის სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებასა და მეტ კონტროლს საჭიროებს.

ინსტრუმენტი ძირითადად განკუთვნილია წევრი ქვეყნებისთვის, რომლებშიც ახალგაზრდული პოლიტიკა ეროვნულ დონეზე იგეგმება. თუმცა, ამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია ფედერალურ სახელმწიფოებშიც და/ან იმ ქვეყნებშიც, სადაც ახალგაზრდული საკითხები რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე განიხილება. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სხვადასხვა რელევანტურ ორგანოებს შორის დამატებითი კოორდინაცია და გუნდური მუშაობა.

სასურველია, წევრმა სახელმწიფოებმა გაუზიარონ ეს ინსტრუმენტი რელევანტურ პარტნიორებსა და მხარეებს (მაგალითად, სამინისტროებს, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ახალგაზრდული საკითხები, პროფესიულ ჯგუფებს, რომლებიც ახალგაზრდებთან მუშაობენ), რათა გაღრმავდეს და გაძლიერდეს ღირებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება ევროპაში.

მთავარი ინდიკატორების ნაკრები, რომლებითაც იზომება ევროპის საბჭოს სტანდარტების განხორციელების პროგრესი.

მოქმედების სფერო	შესაბამისი ინდიკატორები
მონაწილეობა	► ახალგაზრდული პოლიტიკა მხარს უჭერს ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ხელს უწყობს მათ, იყვნენ აქტიური მოქალაქეები. ► მთავრობა აღიარებს და მხარს უჭერს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ საბჭოებსა და სხვა ახალგაზრდულ წამოწყებებსა თუ სტრუქტურებს.
ინფორმაცია	► ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი რელევანტული ინფორმაციის მოძიებასა და შეგროვებას და უზრუნველყოფს ახალგაზრდების წვდომას ამ ინფორმაციაზე როგორც ინტერნეტით, ასევე მის გარეშე. ► ახალგაზრდული პოლიტიკა ქმნის ახალ შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის, რათა მათ განივითარონ ინფორმაციის მართვისთვის საჭირო კომპეტენციები.
ინკლუზია	► ახალგაზრდული პოლიტიკა მხარს უჭერს მოწყვლად სიტუაციებში მცხოვრები ახალგაზრდების ინკლუზიას სიცოცხლის ყველა სფეროში (განათლების, პროფესიული მომზადების, შრომისა და დასაქმების, განსახლების, ჯანდაცვის, სპორტის, გართობისა და კულტურის სფეროების ჩათვლით). ► ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია დისკრიმინაციის, ძალადობისა და ექსკლუზიის პრევენცია, წევრ ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო ბაზის მიუხედავად.[3]
უფლებებზე წვდომა	► ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს და ეხმარება ახალგაზრდებს საკუთარ უფლებებზე წვდომაში და ზრუნავს იმაზე, რომ აღმოიფხვრას ამ მხრივ არსებული ნებისმიერი სამართლებრივი, ადმინისტრაციული თუ პრაქტიკული დაბრკოლება. ► ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს კოორდინირებულ მიდგომას იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ახალგაზრდების წვდომა საკუთარ უფლებებზე პოლიტიკის ყველა სფეროში საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე.
ახალგაზრდული შრომა	► შექმნილია ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი შრომითი გარემო და ახალგაზრდული პოლიტიკა აქტიურად უჭერს მხარს და იცავს მის შემდგომ განვითარებას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. ► ანაზღაურების სანაცვლოდ თუ მოხალისეობრივ საწყისებზე მომუშავე ახალგაზრდების კომპეტენციები ახალგაზრდული შრომის მაღალი ხარისხის გარანტიას იძლევა.
მობილობა	► ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს ახალგაზრდების მობილობას მათში ევროპასთან მიკუთვნების, ევროპელობის შეგრძნების გაღრმავებისა და გაძლიერების მიზნით. ► ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს მობილობის მაღალხარისხიანი პროექტების განხორციელებას.

3. როგორც მკაფიოდაა ხაზგასმული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 14-ე მუხლში ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დაფუძნებულ ნებისმიერ სხვა ფორმაში.

მონაწილეობა

მოქმედების სფერო	მონაწილეობა

- სამართლებრივი საფუძველი - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)14 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდების მოქალაქეობრივი შეგრძნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაღრმავების შესახებ.
- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2004)13 წევრ ქვეყნებს ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ.
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის „ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ ევროპული ქარტიის განახლებული ვერსია.
- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)1 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში ეროვნული ახალგაზრდული საბჭოების როლის შესახებ.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება).
- რეკომენდაცია ბავშვებისა და 18 წლამდე ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ და მისი „ბავშვთა ჩართულობის შეფასების ინსტრუმენტი“.

ინდიკატორი 1

ახალგაზრდული პოლიტიკა მხარს უჭერს თითოეული ახალგაზრდის აქტიურ ჩართულობას ახალგაზრდებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ხელს უწყობს მათ, იყვნენ აქტიური მოქალაქეები.

თვითშეფასების კრიტერიუმი	დიახ	ბოლომდე არა [4]	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს აქტიურ მოქალაქეობას ახალგაზრდებისთვის სწავლისა და გამოცდილების შეძენის კარგი შესაძლებლობების შექმნით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერების მიზნით.				
შექმნილია შესაბამისი სტრუქტურები და მექანიზმები თოთოეული ახალგაზრდის მონაწილეობის მხარდასაჭერად, მათ შორის მოწყვლად ვითარებაში მყოფი ახალგაზრდების დასახმარებლად, ჩაერთონ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შესაბამის დებატებში.				
წახალისებულია ეფექტიანი და ინოვაციური მონაწილეობის წარმატებული გამოცდილების გაზიარება და მისი გამოყენება ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.				

4. ან “მიმდინარე”

ინდიკატორი 2

მთავრობა აღიარებს და მხარს უჭერს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ საბჭოებსა და სხვა ახალგაზრდულ წამოწყებებსა თუ სტრუქტურებს.

თვითშეფასების კრიტერიუმი	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
დაცულია ახალგაზრდების უფლება, გაერთიანდნენ და შექმნან ორგანიზაციები, რომელთა საშუალებითაც კოლექტიურად ეცდებიან საერთო მიზნების მიღწევას.				
ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, საბჭოებსა და წამოწყებებს ეთმობა სათანადო სივრცე, მათთვის გამოიყოფა ფინანსური სახსრები და საჭირო მატერიალური დახმარება, რათა მათ შეუფერხებლად და ეფექტიანად ითანამშრომლონ.				
დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაციები და საბჭოები არსებობენ ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე და აქტიურ როლს თამაშობენ ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.				

დადებითი ტენდენციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლო პროგრესს.

სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას და სავარაუდოდ, ზედამხედველობას.

მოქმედების სფერო - ინფორმაცია

- სამართლებრივი საფუძველი - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2010)8 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდული ინფორმაციის შესახებ .
- სამართლებრივი საფუძველი - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(90)7 წევრ ქვეყნებს ინფორმაციის შესახებ და ევროპაში ახალგაზრდებისთვის კონსულტაციის გაწევის თაობაზე.
- ევროპის საბჭოს სხვა რელევანტური ინიციატივები:
  - ინტერნეტის მართვის სტრატეგია 2016-2019
  - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(97)20 წევრ ქვეყნებს „სიძულვილის ენის“ შესახებ
  - სიძულვილის ენის საწინააღმდეგო მოძრაობა

ინდიკატორი 1

ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი რელევანტული ინფორმაციის მოძიებასა და შეგროვებას და უზრუნველყოფს ახალგაზრდების წვდომას ამ ინფორმაციაზე როგორც ინტერნეტით, ასევე მის გარეშე.

თვითშეფასების კრიტერიუმი	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება უზრუნველყოფილია ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.				
ახალგაზრდული ინფორმაციის ფორმები და არხები მორგებულია ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების ცვლილებებზე, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.				
ახალგაზრდები მონაწილეობენ მათთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალისა და არხების შემუშავებასა და განვითარებაში.				
საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები პასუხობს ხელმოკლე და არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდების საჭიროებებს.				

ინდიკატორი 2

ახალგაზრდული პოლიტიკა ქმნის ახალ შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის, რათა მათ განივითარონ ინფორმაციის მართვისთვის საჭირო კომპეტენციები.

თვითშეფასების კრიტერიუმი	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
ინფორმაციული/ციფრული განათლება, კრიტიკული აზროვნების ჩათვლით, ფორმალური განათლების შემადგენელი ნაწილია.				
ინფორმაციული/ციფრული განათლება, კრიტიკული აზროვნების ჩათვლით, არაფორმალური და არაოფიციალური განათლების შემადგენელი ნაწილია.				
ახალგაზრდული პოლიტიკა ითვალისწინებს ახალგაზრდების განათლებას ონლაინ ინფორმაციის მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და პირადი მონაცემების დაცვის შესახებ.				

დადებითი ტენდენციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლო პროგრესს.

სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას და სავარაუდოდ, ზედამხედველობას.

მოქმედების სფერო - ინკლუზია

- სამართლებრივი საფუძველი - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM Rec(2015)3 წევრ ქვეყნებს არასახარბიელო გარემოში მცხოვრები და ხელმოკლე ახალგაზრდებისთვის სოციალური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ.
- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM Rec(2016)7 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდებისთვის საკუთარ უფლებებზე წვდომის შესაძლებლობის მიცემის შესახებ.

ინდიკატორი 1

ახალგაზრდული პოლიტიკა მხარს უჭერს მოწყვლად სიტუაციებში მცხოვრები ახალგაზრდების ინკლუზიას სიცოცხლის ყველა სფეროში (განათლების, პროფესიული მომზადების, შრომისა და დასაქმების, განსახლების, ჯანდაცვის, სპორტის, გართობისა და კულტურის სფეროების ჩათვლით).

თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
ახალგაზრდული პოლიტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოწყვლად სიტუაციებში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებს.				
მიღებულია კონკრეტული ზომები თითოეული ახალგაზრდის ინკლუზიისთვის, განსაკუთრებით შრომის, მობილობის, მონაწილეობისა და ინფორმაციის სფეროებში.				
ახალგაზრდული პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული განათლების პოლიტიკასთან ახალგაზრდების ინკლუზიის მხარდაჭერის მიზნით.				
ახალგაზრდულიპოლიტიკა მჭიდროდაადაკავშირებული დასაქმების პოლიტიკასთან ახალგაზრდების ინკლუზიის მხარდაჭერის მიზნით.				
ახალგაზრდული პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული განსახლებისა და ჯანდაცვის პოლიტიკასთან ახალგაზრდების ინკლუზიის მხარდაჭერის მიზნით.				

ინდიკატორი 2

ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია დისკრიმინაციის, ძალადობისა და ექსკლუზიის პრევენცია, წევრ ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო ბაზის მიუხედავად.[5]

თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
მიღებულია კონკრეტული ზომები იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა აქტიური როლი ითამაშონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.				
აღიარებულია, რომ არსებობს ახალგაზრდების გარკვეული მოწყვლადი ჯგუფები დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის თვალსაზრისით და მიღებულია ზომები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.				
მიღებულია ზომები სხვადასხვა გარემოში მცხოვრები ადამიანების თანაცხოვრებისა და კარგი ურთიერთობის ხელშეწყობისთვის, მათ შორის ახალგაზრდების დახმარებით.				

დადებითი ტენდენციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლო პროგრესს.

სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას და სავარაუდოდ, ზედამხედველობას.

5. როგორც მკაფიოდაა ხაზგასმული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 14-ე მუხლში ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დაფუძნებულ ნებისმიერ სხვა ფორმაში

მოქმედების სფერო: უფლებებზე წვდომა

- სამართლებრივი საფუძველი - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2016)7 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდებისთვის საკუთარ უფლებებზე წვდომის შესაძლებლობის მიცემის შესახებ.
- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)7 წევრ ქვეყნებს ევროპის საბჭოს განათლებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის ქარტიისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 1

ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს და ეხმარება თითოეულ ახალგაზრდას საკუთარ უფლებებზე წვდომაში და ებრძვის ამ სფეროში არსებულ ყველანაირ სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და პრაქტიკულ დაბრკოლებას. [6]

თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
ახალგაზრდული პოლიტიკა მიზნად ისახავს მაღალხარისხიან განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე ახალგაზრდების თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას და ამ სფეროში არსებული ბარიერების მოშლას.				
არსებობს მექანიზმები, რომლებიც ეხმარება ახალგაზრდებს სტაბილური და საინტერესო დასაქმების პოვნაში და არასტაბილურობით გამოწვეული ცხოვრებისეული პრობლემების გადალახვაში.				
ზომები მორგებულია ახალგაზრდების კონკრეტულ საჭიროებებზე სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში.				

ინდიკატორი 2

ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს კოორდინირებულ მიდგომას იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ახალგაზრდების წვდომა საკუთარ უფლებებზე პოლიტიკის ყველა სფეროში საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე.

თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
ახალგაზრდული პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ განათლება ადამიანის უფლებების შესახებ და განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის ხელმისაწვდომი იყოს თითოეული ახალგაზრდისთვის.				
ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ყველა მხარე შესაბამისი პოლიტიკის სხვადასხვა სფეროდან აქტიურად თანამშრომლობს იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ახალგაზრდების წვდომა საკუთარ უფლებებზე.				
შესწავლილი და მიმოხილულია არსებული თუ სამომავლო კანონმდებლობები და ის პროგრამები, რომლებიც ხორციელდება უფლებებზე ახალგაზრდების წვდომის მხარდასაჭერად და შემუშავებულია სათანადო დამატებითი დამხმარე ზომები.				

დადებითი ტენდენციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლო პროგრესს.

სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას და სავარაუდოდ, ზედამხედველობას.

6. იმ უფლებებზე წვდომა, რომლებიც ნახსენებია რეკომენდაციაში CM/Rec(2016)7 და რომლებიც უკვე გათვალისწინებულია მოქმედების სხვა სფეროებში (მაგ. მონაწილეობა, ინკლუზია), მაგრამ ინდიკატორების ან შეფასების კრიტერიუმების დონეზე აქ კონკრეტულად არაა ხაზგასმული.

მოქმედების სფერო: ახალგაზრდული შრომა

- სამართლებრივი საფუძველი - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2017)4 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდული შრომის შესახებ.

ინდიკატორი 1

შექმნილია ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი შრომითი გარემო და ახალგაზრდული პოლიტიკა აქტიურად უჭერს მხარს და იცავს მის შემდგომ განვითარებას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.

თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
შემუშავებულია სტრატეგიები, საკანონმდებლო ჩარჩო, ძლიერი სტრუქტურები და რესურსები ახალგაზრდების შრომისა და დასაქმების მხარდაჭერისთვის.				
თითოეულ ახალგაზრდას თანაბრად მიუწვდება ხელი დასაქმებაზე, რაც სხვადასხვა დარგისა და შესაბამისი პოლიტიკის ეფექტიანი თანამშრომლობით ხორციელდება.				
ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდული შრომის განვითარებაში.				

ინდიკატორი 2

ანაზღაურების სანაცვლოდ თუ მოხალისეობრივ საწყისებზე მომუშავე ახალგაზრდების კომპეტენციები ახალგაზრდული შრომის მაღალი ხარისხის გარანტიას იძლევა.

თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
შემუშავებულია განათლებისა და პროფესიული მომზადების თანმიმდევრული და მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული ჩარჩო ანაზღაურების სანაცვლოდ მომუშავე თუ მოხალისეობრივ საწყისებზე მომუშავე ახალგაზრდებისთვის.				
ნებისმიერი ასეთი ჩარჩო ითვალისწინებს არსებულ გამოცდილებას, ახალ ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს და ახალგაზრდული შრომის მრავალფეროვნებას.				
ამ ჩარჩოს განვითარებაში ჩართულები არიან სხვადასხვა რელევანტური მხარეები, მათ შორის ახალგაზრდა მშრომელები და ზოგადად ახალგაზრდები.				

დადებითი ტენდენციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლო პროგრესს.

სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას და სავარაუდოდ, ზედამხედველობას.

მობილობა

მოქმედების სფერო: მობილობა

- სამართლებრივი საფუძველი - რეზოლუცია (91)20, რომლითაც მოხდა ახალგაზრდული ბარათის შესახებ ნაწილობრივი შეთანხმება ევროპაში ახალგაზრდების გადაადგილების ხელშესაწყობად.
- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(95)18 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდების მობილობის შესახებ.

ინდიკატორი 1

ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს ახალგაზრდების მობილობას მათში ევროპასთან მიკუთვნების, ევროპელობის შეგრძნების გაღრმავებისა და გაძლიერების მიზნით.

თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
პოლიტიკის კონკრეტული მითითებები, სასწავლო პროგრამები და სიახლის გაცნობის შესაძლებლობები ეხმარება ახალგაზრდებს, იყვნენ სოციალურად, კულტურულად, ეკონომიკურად და განათლების თალსაზრისით მობილურები.				
არსებობს ინფორმაციის მიწოდებისა და საკონსულტაციო მომსახურება ახალგაზრდებისთვის მობილობის შესაძლებლობების გასაცნობად.				
მობილობის პროექტები ხელს უწყობს ევროპელობის, ევროპასთან მიკუთვნების შეგრძნების გაძლიერებას ევროსაბჭოს ღირებულებებზე და ინტერკულტურული სწავლის პრინციპებზე დაფუძნებით.				

ინდიკატორი 2

ახალგაზრდული პოლიტიკა ხელს უწყობს მობილობის მაღალხარისხიანი პროექტების განხორციელებას.

თვითშეფასების კრიტერიუმები	დიახ	ბოლომდე არა	არა	კარგი გამოცდილების მაგალითები
მობილობის პროექტები პასუხობს ხარისხის პრინციპებს, რომლებიც ჩადებულია „სასწავლო მობილობის ხარისხის ევროპული ქარტიის“ მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოში.				
ხდება ახალგაზრდების მობილობის საკითხებში დაგროვილი ცოდნისა და წარმატებული გამოცდილების გაზიარება შესაბამისი პოლიტიკის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.				

დადებითი ტენდენციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლო პროგრესს.

სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას და სავარაუდოდ, ზედამხედველობას.

აუცილებელია, რომ ახალგაზრდებმა გაიზიარონ ევროპული ფასეულობები, უფრო კონკრეტულად კი, ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებები (ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და დემოკრატია). ევროსაბჭო ყოველთვის მხარს უჭერდა ევროპულ ფასულობებზე და ევროპისადმი მიკუთვნების გრძნობაზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას.

სწორედ ამ კონტექსტში შეიმუშავა და დაამტკიცა ახალგაზრდობის ევროპულმა კომიტეტმა (CDEJ) წინამდებარე თვითშეფასების ინსტრუმენტი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისთვის.

ეს ინსტრუმენტი შემუშავდა იმ მიზნით, რომ დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს, თავად შეაფასონ საკუთარი ქვეყნის შესაბამისობა ევროსაბჭოს სტანდარტებთან ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებში და გამოიყენონ ის, როგორც საფუძველი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისთვის. იმედია, რომ ეს პრაქტიკული ინსტრუმენტი საშუალებას მისცემს წევრ სახელმწიფოებსა და სხვა პარტნიორებს, წარმოაჩინონ და გაიზიარონ საუკეთესო გამოცდილება და შეძლონ გარკვეული დროის განმავლობაში მიღწეული პროგრესის გაზომვა.

PREMS 110519

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

Youth – Jeunesse

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE